პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. კ. (ბ) მუნიციპალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მაჩარჯელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ბაზმოცემის 29-ე წელი

სამშაბათი, 20 ივლისი, 1948 წ. № 143 (8187). ფასი 20 კაპ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘᲐ:

ჩაის რაიონების მუშაკთა საბრძოლო ამოცანა — მოწინავე (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ცნობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1948 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ II კვარტალში (1-ლი და მე-2 გვერდი).

გ. ზამბახიძე — დედაქალაქის მრეწველობის ნახევარი წლის შედეგები და პარტიული ორგანიზაციების შემდგომი ამოცანები (მე-2 გვერდი).

ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲘ

ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲘ

ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲘ

3. ბახტურიძე — საბჭოთა კავშირის უნივერსალი პოეტი (მე-3 გვერდი).

3. ლინე

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ცნობა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1948 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ II კვარტალში

(დასასრული)

მანქანათმშენებლობის საწარმოთა მშენებლობის მთავარმა სამმართველომ, თუმცა გასული წლის მეორე კვარტალთან შედარებით გაადიდეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა, მაგრამ კვარტალური გეგმა ვერ შეასრულეს.

VI

საქონელბრუნვის გაფართოება

1948 წლის მეორე კვარტალში გრძელდებოდა საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი გაფართოება. სახელმწიფო ვაჭრობაში ფასების შემცირების მეორე ეტაპთან დაკავშირებით, რაც 1948 წლის აპრილში ჩატარდა, აგრეთვე გასული წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით საკოლმეურნეო ბაზრის ფასების შემცირების გამო,—მეორე კვარტალში გრძელდებოდა მანეთის მყიდველობითი უნარის შემდგომი ამაღლება.

1948 წლის მეორე კვარტალში მნიშვნელოვნად გაიზარდა სასურსათო და სამრეწველო საქონლის გაყიდვა საცალო სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში. 1948 წლის მეორე კვარტალში პურის გაყიდვა 1947 წლის მეორე კვარტალთან შედარებით გადიდდა 50 პროცენტით, შაქრის გაყიდვა—83 პროცენტით, ხორცის პროდუქტებისა—29 პროცენტით, მცენარეული ზეთისა — 14 პროცენტით, საკონდიტრო ნაწარმისა—29 პროცენტით, ბამბის ქსოვილისა—38 პროცენტით, აბრეშუმის ქსოვილისა—34 პროცენტით, ტყავის ფეხსაცმლისა—31 პროცენტით, რეზინის ფეხსაცმლისა—ერთიორად და უფრო მეტად.

VII

მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის გადიდება და შრომის ნაყოფიერების ზრდა

1948 წლის მეორე კვარტალში მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვი სახალხო მეურნეობაში 2.200 ათასი კაცით და უფრო მეტით გადიდდა 1947 წლის მეორე კვარტალთან შედარებით.

მუშათა შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 1948 წლის მეორე კვარტალში 1947 წლის მეორე კვარტალთან შედარებით გაიზარდა 14 პროცენტით, აქედან მანქანათმშენებლობაში—21 პროცენტით, შავ მეტალურგიაში—17 პროცენტით, ქვანახშირის მრეწველობაში—11 პროცენტით.

ხელფასის ფონდი სახალხო მეურნეობაში 1948 წლის მეორე კვარტალში, 1947 წლის მეორე კვარტალთან შედარებით, 8 პროცენტით გადიდდა.

1948 წლის მეორე კვარტალში საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები დაამთავრა და მრეწველობაში სამუშაოდ გაიგზავნა 400 ათასი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა.

VIII

მეურნეობის აღდგენა იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს

იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, 1948 წლის მეორე კვარტალში მრეწველობის საერთო პროდუქცია 41 პროცენტით გადიდდა 1947 წლის მეორე კვარტალთან შედარებით, ამასთან თუჯის გამოდნობა გაიზარდა 39 პროცენტით, ფოლადის გამოდნობა—51 პროცენტით, ნაგლინის წარმოება—55 პროცენტით, ელექტროენერგიის გამომუშავება—34 პროცენტით, ცემენტის წარმოება—23 პროცენტით, ქვანახშირის ამოღება დონბასში —20 პროცენტით.

1948 წლის პირველ ნახევარში ამ რაიონებში ჩატარდა ცენტრალიზებული კაპიტალური სამუშაოები 7,7 მილიარდი მანეთის მოცულობით. ამასთან აგებული და აღდგენილია 1.300 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი ქალაქებში და 63 ათასი საცხოვრებელი სახლი სოფელ ადგილებში.

IX

საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება და 1948 წლის პირველი და მეორე კვარტალების გეგმის გადაჭარბებით შესრულების საქმეში მიღწეული წარმატებები ცხადჰყოფენ, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგს შესაძლებლობა აქვს არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულოს 1948 წლის—ომისშემდგომი ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის გეგმა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს (მე-2 მოწვევის) მესამე სესია

გუშინ, 19 ივლისს, თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრში შესდგა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს (მე-2 მოწვევის) მესამე სესია.

სესია გახსნა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. გოჩაშვილმა.

სესიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დეპუტატი ა. ჯიშიაშვილი, მდივნად — დეპუტატი ე. ლავთაძე.

სესიის განსახილველად თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომისაგან შემოტანილი იყო ერთი საკითხი: ქ. თბილისის 1948 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შედეგების შესახებ, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე დეპუტატი რ. კაჭარავა.

თბილისის საქალაქო საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ნ. ლორთქიფანიძის თანამოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა გ. ცქიტიშვილმა, ვ. გურბელაძემ, ი. ჩოჩიამ, შ. აბაიშვილმა, მ. კოდუამ, ს. აბაშიძემ, თბილისის საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველოს უფროსმა ამხ. შ. ასათიანმა და ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ნარსიამ.

განხილული საკითხის ირგვლივ სესიამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

სესიის ანგარიში დაიბეჭდება „კომუნისტის" უახლოეს ნომერში.

საჰაერო ფლოტის დღე თბილისში

ზეიმით აღნიშნეს თბილისის მშრომელებმა საჰაერო ფლოტის დღე — 18 ივლისი.

ბერიას მოედანზე მოწყობილი იყო საბრძოლო თვითმფრინავების, საავიაციო ტექნიკისა და საჭურვლის გამოფენა, რომელიც რამდენიმე ათეულმა ათასმა კაცმა დაათვალიერა. საწარმო-დაწესებულებებში მოეწყო ლექცია-მოხსენებანი საბჭოთა მძლავრი ავიაციის შესახებ.

18 ივლისს — ქალაქის თეატრებსა, კლუბებსა, ბაღებსა და პარკებში გაიმართა საჰაერო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი საღამოები და მასობრივი სეირნობა. სტალინისა და ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკები მორთული იყო ლოზუნგებით, პლაკატებით, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტებით; სალექციო დარბაზებში წაკითხულ იქნა ლექციები საჰაერო ფლოტის საკავშირო დღის შესახებ.

პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში მოეწყო ავიაციის დღისადმი მიძღვნილი საღამო-სეირნობა.

როცა შებინდდა, მიცემული იქნა სალუტი საჰაერო ფლოტის დღის აღსანიშნავად.

დედაქალაქის მრეწველობის ნახევარი წლის შედეგები და პარტიული ორგანიზაციების შემდგომი ამოცანები

გ. ზამბახიძე
საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი

★

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების დიადი სტალინური ხუთწლიანი გეგმით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი სამეურნეო სასწაულებს ახდენს, გიგანტური ნაბიჯით აღადგენს და ავითარებს თავის ინდუსტრიას და სოფლის მეურნეობას.

ხუთწლედის ოთხ წელში შესრულებისათვის ბრძოლაში სახელოვან შრომაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საქართველოს დედაქალაქის — თბილისის მშრომელებს. ამას მოწმობენ გასული სამეურნეო წლის შედეგები, ამას თვალნათლივ მეტყველებენ მიმდინარე წლის პირველი ნახევრის საწარმოო მაჩვენებლები.

თბილისის საწარმოებმა მიმდინარე წლის ექვსი თვის გეგმა 103,3 პროცენტით შეასრულეს და სამშობლოს გეგმის გადამეტებით ასიათასობით მანეთის პროდუქცია მისცეს. განსაკუთრებით წარმატებით დაამთავრეს მეოთხე ხუთწლედის მესამე წლის პირველი ნახევარი კვების, საშენ მასალათა, ადგილობრივი, საფეიქრო, საგემოვნო მრეწველობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროების საწარმოებმა, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს დავალება და 1 ივლისისათვის დიდძალი ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს. დავალებათა შესრულებაში თავი გამოიჩინა დედაქალაქის ათობით საწარმომ, მათ შორის უნდა აღინიშნოს: თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი, 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი და სპილენძსაგლინავი ქარხნები, თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა და მთელი რიგი სხვა საწარმოები.

საწარმოო დავალებათა შესრულების ერთ-ერთი მთავარი პირობა ის არის, რომ სწორად შევახამოთ პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო საქმიანობა. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, „რომ თვით სამეურნეო წარმატებანი, მათი სიმტკიცე და ხანგრძლივობა მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის წარმატებებზე, რომ ამ პირობის გარეშე სამეურნეო წარმატებანი შეიძლება ქვიშაზე აგებული აღმოჩნდეს".

მეოთხე სტალინური ხუთწლედის გრანდიოზული გეგმები, ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების ბრწყინვალე პერსპექტივები, აღაფრთოვანებენ მშრომელებს თავდადებული მუშაობისათვის. პარტიული ორგანიზაციები დაუღალავად ეწევიან სტალინური ხუთწლედის პროპაგანდას, რაზმავენ მუშებსა და ინტელიგენციას საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის. დედაქალაქის საწარმოთა ნახევარი წლის შედეგები და მოპოვებული გამარჯვებანი მოწმობენ, რომ ამ საწარმოებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა დაყენებულია მოწოდების სიმაღლეზე.

თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა (ყოფილი დირექტორი ამხ. ი. ხვედელიანი, პარტბიუროს მდივანი ამხ. ქ. გოგლიძე) წლების განმავლობაში გეგმას ვერ ასრულებდა, მუდამ სახელმწიფო დოტაციას იღებდა. ჩამორჩენა გამოწვეული იყო არა გარეშე პირობებით, არა ეგრეთ წოდებული ობიექტური მიზეზებით, არამედ იმით, რომ საწარმოს მუშაკებმა ჯეროვნად ვერ მოაწყეს შრომა, ვერ უზრუნველჰყვეს მოწინავე ადამიანების გამოცდილების პოპულარიზაცია. ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს კომუნისტებმა და მალე ერთიათად შემცირდა იმ მუშების რიცხვი, რომლებიც დავალებას ვერ ასრულებდნენ. პარტიული ორგანიზაცია პარალელურად იბრძოდა პროდუქციის დამზადების ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებისათვის, წარმოების გასაუმჯობესებლად, მუშების დარაზმვისათვის. ამან ის შედეგი მოიტანა, რომ ქარხანაში ერთისამად და უფრო მეტადაც გაიზარდა რაციონალიზატორებისა და გამომგონებელთა რიცხვი; თუ 1946 წელს ქარხანაში მხოლოდ 32 რაციონალიზატორი და გამომგონებელი იყო, ამჟამად მათი რიცხვი 120-მდე ავიდა.

საწარმოს ეკონომიურ საკითხებს ღრმად სწვდება, საქმიან ღონისძიებებს სახავს და ახორციელებს თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაცია (ქარხნის დირექტორი ამხ. ა. მელაძე, პარტბიუროს მდივანი ამხ. სტურუა). ქარხნის ერთსულოვანმა კოლექტივმა 13,8 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა მიმდინარე წლის ექვსი თვის დავალება. დამახასიათებელია, რომ აქ პარტიული ორგანიზაცია საფუძვლიანად სწავლობს ქარხნის საწარმოო მოღვაწეობის ყველა უბანს და ნაყოფიერ ზეგავლენას ახდენს მასზე. საკითხის არსებითი, საფუძვლიანი განხილვის შედეგად სახავს პრაქტიკულ ღონისძიებებს, ლითონის, დამხმარე მასალების მომჭირნედ ხარჯვისათვის, ზედნადები, საამქრო და საქარხნო ხარჯების შემცირებისათვის. შედეგი უკვე არის. შარშან პროდუქციის თვითღირებულება აქ 19,6 პროცენტით შეამცირეს, ხოლო წელს—20 პროცენტით.

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში (დირექტორი ამხ. ნ. თუშიშვილი, პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. ჩარაევი), 141 კომუნისტი მუშაობს და ყოველი მათგანი გეგმას სისტემატური გადაჭარბებით ასრულებს. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ფაბრიკაში თვიდან თვემდე მატულობს სტახანოველთა რიცხვი, რომ კომუნისტების მაგალითზე აქ გაშლილია შეჯიბრება მანქანების სრული დატვირთვით გამოყენებისათვის. ამით აიხსნება, რომ ფაბრიკამ ნახევარი წლის გეგმა 119,1 პროცენტით შეასრულა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა ათი ათასობით მეტრი ქსოვილი. ამასთან ფაბრიკის კოლექტივმა ნედლეულის, საწვავისა და მასალების მომჭირნედ ხარჯვის შედეგად მნიშვნელოვნად შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება.

დედაქალაქის მოწინავე საწარმოთა რიგებში დგას თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა (დირექტორი ამხ. გ. ბერძენიშვილი, პარტბიუროს მდივანი ამხ. ლ. პეტროსიანი), რომელმაც ექვსი თვის დავალება გადაჭარბებით შეასრულა. ამ საწარმოო წარმატებებში თავისი გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი ქარხნის პარტიულ ორგანიზაციას, რომელიც ქმედითად ერეოდა სამეურნეო საკითხებში და იბრძოდა შეუფერხებელი მუშაობისათვის. ქარხნის კომუნისტებმა ყურადღების ცენტრში დააყენეს სამუშაო ადგილის სწორად მოწყობის, მოცდენის აღმოფხვრის, მასალების მომჭირნედ ხარჯვის და ინსტრუმენტების მოვლა-შენახვის საკითხები. ამის შედეგია ის, რომ ქარხნის ყოველმა მუშამ გამომუშავების გეგმა საშუალოდ 107 პროცენტით შეასრულა. ნარჩენთა გამოყენებისა და ძირითადი მასალების მომჭირნედ ხარჯვის შედეგად ექვს თვეში ორჯონიკიძელებმა დაზოგეს 550.000 მანეთი, ხოლო მიმდინარე წელს ოთხ თვეში რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვამ ქარხანას ხელფასის ფონდში 195.000 მანეთი ეკონომია მისცა, ინსტრუმენტების კარგი მოვლის შედეგად კი გახანგრძლივებულ იქნა მათი ექსპლოატაციის ვადა და ამითაც დაზოგილ იქნა 165.000 მანეთი.

თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსის სამმართველოს (მმართველი ამხ. მ. ჩიქვაიძე, პარტბიუროს მდივანი ამხ. ვ. ჯავახიშვილი) მოქნილი მუშაობის შედეგად, ქალაქის ტრანსპორტმა ექვსი თვის დავალება ვაგონების გარბენის დარგში 119 პროცენტით გაადაღა, ხოლო ხაზზე, მოძრავი შემადგენლობის რაოდენობრივი დავალება 105,5 პროცენტით შესრულდა. ტრამვაის პარკი გადიდდა ახალი, კომფორტული ვაგონებით. ახლა ქალაქში [illegible] ასეთი ვაგონი მუშაობს. ტრამვაელი ბოლშევიკები დიდ ყურადღებას აქცევენ საგიტაციო-მასობრივ მუშაობას. სამმართველოს სახელოსნოებსა და საამქროებში 51 აგიტატორი ითვლება. მათი უმრავლესობა აქტიურად მუშაობს საწარმოში და სტახანოვური შრომის მაგალითს იძლევა. პარტიული ორგანიზაცია აგიტაციის საკითხს სისტემატურად ამოწმებს, კრებებზე იხილავს ღონისძიებებს, სახავს და ქმედითად ეხმარება აგიტატორებს მუშაობაში. მაგალითად, სამმართველოს პარტბიურომ წელს 19-ჯერ განიხილა აგიტმასობრივი მუშაობის საკითხი. როდესაც პრესაში გამოქვეყნდა სტალინგრადელი აგიტატორის ამხ. კოლიადის მუშაობის გამოცდილება, მას ყურადღებით გაეცნენ სამმართველოს აგიტატორები. პარტბიურომ თავის მხრივ შეამოწმა, თუ როგორ ატარებდა აგიტსაუბარს ზოგიერთი აგიტატორი, და საკითხი ბიუროს სხდომაზე გამოიტანეს. აგიტატორებს მიეთითათ თვალსაჩინოების ნაკლებობაზე, რომ ისინი უფრო ლექტორის როლში გამოდიოდნენ, უგულებელჰყოფდნენ გასაუბრების პრინციპს და სხვა. უნდა აღინიშნოს პარტბიუროს კარგი წამოწყება ადგილობრივ რადიოგადაცემათა მოწყობის საქმეში, რისთვისაც გამოყენებულ იქნა საკუთარი რადიოკვანძი. რადიოგადაცემათა რედაქციამ დააწესა მუდმივი განყოფილება — „ჩვენი სამმართველოს წარჩინებული ადამიანები", სადაც ხდებოდა მოწინავე სტახანოველთა გამოცდილების განზოგადება, იგი სისტემატურად ახდენდა ინფორმაციების გადაცემას მოძრაობის სამდღიური გრაფიკის შესრულებაზე და აქტიურად ეხმაურებოდა სამმართველოს მუშაობის მტკივნეულ საკითხებს.

საწარმოს სამეურნეო წარმატების ერთ-ერთი უტყუარი პირობაა ქარხნის ადმინისტრაციის მუშაობისადმი პარტიული კონტროლის უფლების სწორად გამოყენება. შეიძლება გაბედულად ითქვას, რომ დედაქალაქის საწარმოების ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები სრულყოფილად დაეუფლნენ მეურნეობის ხელმძღვანელობის ბოლშევიკურ მეთოდს. მათ კარგად იციან, რომ ადმინისტრაციის მოქმედების კონტროლის უფლება მათ ადმინისტრატორის ფუნქციებს როდი ანიჭებს, რომ ეს უფლება იმავე დროს ახალ ვალდებულებას აკისრებს პარტიულ ორგანიზაციას, ზრდის მის პასუხისმგებლობას საწარმოს მუშაობისათვის. პარტიული კონტროლი საჭიროა ისე დავაყენოთ, რომ იგი ამტკიცებდეს დირექტორის—ერთმმართველის უფლებებს, მის ავტორიტეტს. დირექცია და პარტიული ორგანიზაცია შეხმატკბილებული უნდა მუშაობდნენ, ერთ მიზანს ემსახურებოდნენ, ისინი საერთო ძალით უნდა წარმართავდნენ საწარმოს მუშაობას. მაგალითად, ადმინისტრაციისა და პარტიული ორგანიზაციის შეწყობილმა მუშაობამ სპილენძსაგლინავ ქარხანაში ის ნაყოფი გამოიღო, რომ საწარმომ ნახევარი წლის გეგმა 130,8 პროცენტით შეასრულა და სამშობლოს 2.709.000 მანეთის პროდუქცია მისცა.

ასე შეწყობილად მარტოოდენ დასახელებული ქარხნების კომუნისტები როდი მუშაობენ. დედაქალაქის საწარმოების პარტიული ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა თავისი საქმიანობით უზრუნველჰყოფს საწარმოთა შეუფერხებელ სამეურნეო მოღვაწეობას. ნახევარი წლის შედეგების მიხედვით შეუცდომლად შეიძლება ითქვას, რომ თბილისის 12 მოწინავე საწარმოს მიმართვა წლიური გეგმის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 31-ე წლისთავისათვის შესრულების შესახებ, რეალურ ძალად იქცა, რომ თბილისის მშრომელები სიტყვას საქმედ აქცევენ.

მაგრამ შეიძლება თუ არა აქედან ის დასკვნა გავაკეთოთ, რომ ყველგან საქმე რიგზეა? რომ გასაკეთებელი არა არის რა და საქმე თვითდინებას შეიძლება მივანდოთ?

რასაკვირველია არა. ნახევარი წლის შედეგები ოდნავადაც არ გვაძლევენ თვითდამშვიდების საბაბს. ფაქტები მოწმობენ, რომ მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი არსებითი ნაკლოვანება გვაქვს.

რა ნაკლოვანებანი გვაქვს და როგორ უნდა აღვკვეთოთ ისინი? რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ დედაქალაქის ყველა საწარმო მაღალნაყოფიერად მუშაობდეს?

პირველი ნაკლოვანება ის არის, რომ დედაქალაქის მრეწველობის ექვსი თვის საწარმოო წარმატებაში ყველა საწარმოს თანაბარი ღვაწლი როდი მიუძღვის, ჯერ კიდევ არიან ისეთი ფაბრიკა-ქარხნები, რომლებიც თვიდან თვემდე გეგმას ვერ ასრულებენ და ათიათასობით მანეთის პროდუქციას აკლებენ სამშობლოს. მაგალითად, თბილისის 130 ფაბრიკა-ქარხნიდან ნახევარი წლის გეგმა ვერ შეასრულა ცხრამეტმა საწარმომ. ჩამორჩენილთა რიგში არიან ისეთი საწარმოები, როგორიცაა ცელულოიდის, სასწავლო თვალსაჩინოების საგნების, ფეხსაცმლის № 1, თამბაქოს № 1 და ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკები, აგრეთვე მაცივარკომბინატი და სხვა.

საჭიროა რაიკომებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ გაშალონ მუშაობა მოწინავეთა გამოცდილების განსაზოგადებლად და დასანერგავად. აუცილებელია მოწინავე სტახანოველების, ბრიგადების, ცვლების, ქარხნების გამოცდილება გავხადოთ საყოველთაო საკუთრებად, მოწინავეთა მაგალითებზე ვასწავლოთ საბჭოთა ადამიანებს მეურნეობის ბოლშევიკური ხელმძღვანელობის მეთოდები.

მეორე ნაკლოვანება ის არის, რომ პარტიული ორგანიზაციების საგრძნობი ნაწილი ღრმად არ სწვდება საწარმოო საკითხებს, მას მხედველობიდან რჩება საწარმოს მუშაობის მნიშვნელოვანი უბნები, რომლებიც საწარმოს საფინანსო ამინდს ჰქმნიან. მაგალითად, თბილისის ფაბრიკა „საქართველოს ტრიკოტაჟმა" (დირექტორი ამხ. ო. მდინარაძე, პარტბიუროს მდივანი ამხ. ლ. ღლონტი) გასული წლის დავალება 81,4 პროცენტით შეასრულა და ჩამორჩენით დაამთავრა მიმდინარე წლის პირველი ექვსი თვეც. აქ არ სრულდება გეგმა ასორტიმენტის მიხედვით. მთელი გამოშვებული პროდუქციის მხოლოდ 45,4 პროცენტს შეადგენს ქალის პირველი ხარისხის წინდა, ეს მაშინ, როდესაც გეგმით მთელი პროდუქციის 72,5 პროცენტი პირველი ხარისხის უნდა ყოფილიყო; ამასთან ხუთი თვის განმავლობაში გადახარჯულია 565 კილოგრამი ძაფი, 112 ტონა მაზუთი, არის მტაცებლობის შემთხვევები და დანაკარგები, ექვს თვეში მუშახელის გაცდენამ ათასობით კაცსაათი შეადგინა. ყოველივე ამან გამოიწვია 218.000 მანეთის ზარალი და დანაკლისი საკუთარ საბრუნავს თანხაში 253.000 მანეთის რაოდენობით. ამის შედეგად ფაბრიკას შეექმნა მძიმე ფინანსური პირობები. მაგრამ პარტბიუროს წევრებს ერთხელაც არ მოსვლიათ აზრად განეხილათ საკითხი საფინანსო გეგმის შესრულების შესახებ. ისინი მხოლოდ ცალკეული ფაქტების რეგისტრატორებად გამოდიან, ცნობისმოყვარეობას იჩენენ მარტოოდენ სამეურნეო თვის თუ კვარტალის შედეგებისადმი, სისტემატურად, დღითიდღე, არ ამოწმებენ ცალკე აგრეგატების მუშაობას, არ უზრუნველჰყოფენ მათის მომგებიანობას.

მაშასადამე, საწარმოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა იზრუნონ, მეთვალყურეობა გაუწიონ არა მარტო გეგმის შესრულების რაოდენობრივ მაჩვენებლების ზრდისათვის, არამედ დროულად განიხილონ საწარმოში საფინანსო გეგმის შესრულების მიმდინარეობა და იბრძოლონ საბჭოთა მანეთის მომჭირნედ ხარჯვისათვის, მომგებიანი მუშაობისათვის.

მესამე ნაკლოვანება ის არის, რომ ზოგ სამეურნეო მუშაკში თავი იჩინა მავნე კომერსანტიზმმა. საქმე ისაა, რომ მოგების მიღების მიზნით ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელმა სამინისტროს ნომენკლატურული შეკვეთების გარეშე მიღებული დაკვეთები შეასრულა მომეტებულ, ხელოვნურად გადიდებულ ფასებში. ასეთი კომერსანტული ოპერაციის შედეგად, შეიქმნა ილუზია, თითქოს საწარმოს დიდი მოგება ჰქონდეს. ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, მაგალითად, თბილისის კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხანაში (დირექტორი ამხ. ლ. მეშველიანი, პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. რაზმაძე). აქ შარშან შეკვეთების 70,2 პროცენტი მიღებულ იქნა ცალკე უწყებებისაგან, რომლებსაც შეკვეთა ძვირად შეუსრულეს. მაგალითად, საწყობი „ფერბენსკი" საუწყებო შემკვეთლებს თვითღირებულებაზე 239 მანეთითა და 40 კაპიკით ძვირად მიჰყიდეს, თითქმის ორჯერ გაზარდეს დეზკამერების ფასი. ამგვარად, მარტო ამ ორ პროდუქციაში, მისი ღირებულების ხელოვნურად გადიდების შედეგად, ქარხანამ ზედმეტად მიიღო 774.600 მანეთი. ასეთი გზით შარშან ქარხანამ გეგმით გათვალისწინებული 279.000 მანეთის ნაცვლად 1.500.000 მანეთი „დააგროვა".

მაშასადამე, ამოცანა ის არის, რომ ძირშივე აღვკვეთოთ ზოგიერთი სამეურნეო მუშაკის ეს მავნე კომერსანტიზმი და პროდუქციაზე მასალებისა და ინსტრუმენტის მომჭირნე ხარჯვით მივაღწიოთ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, მომგებიან მუშაობას, ჭეშმარიტ სოციალისტურ დაგროვებას.

მეოთხე ნაკლოვანება ის არის, რომ ზოგან საწარმოო დავალების შესრულების მაღალი რაოდენობრივი მაჩვენებლისათვის გამოდევნების შედეგად არის დიდი გადახარჯვა, წუნდებული პროდუქციის გამოშვება და საწარმოო დანაკარგები. მაგალითად, ავჭალის ლითონსამსხმელო ქარხანამ შარშან და წელს ხუთ თვეში გამოუშვა 578 ტონა წუნდებული სხმული, რაც გამოშვებული პროდუქციის 11 პროცენტს შეადგენს. ამის გამო ქარხანამ განიცადა 924.000 მანეთის ზარალი. ავჭალის ლითონსამსხმელო ქარხნის ცუდი მუშაობის შედეგად შარშან და მიმდინარე წლის ოთხ თვეში კიროვის სახელობის ქარხანამ წუნდებული სხმულების ხარისხის გამოსასწორებლად 26.648 შრომასაათი დახარჯა.

მაშასადამე, საწარმოების პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ გეგმის შესრულების რაოდენობრივი მაჩვენებლებისათვის ბრძოლა მტკიცედ დაუკავშირონ მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის ბრძოლას.

მეხუთე ნაკლოვანება ის არის, რომ ზოგიერთ სამეურნეო მუშაკში მტკიცედ აქვს ფეხი მოკიდებული სხვის კმაყოფაზე ყოფნის განწყობილებას, — სახელმწიფო დოტაციებით მუშაობის განწყობილებას. მხოლოდ ასეთი მავნე განწყობილებით უნდა აიხსნას ის, რომ მთელი რიგი საწარმოები (ფეხსაცმლის ფაბრიკა № 1, ტყავის ქარხანა № 2, ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა, ელექტროტექნიკური ქარხანა და სხვ.), რომლებსაც აქვთ რენტაბელური მუშაობის ყველა პირობა, მუშაობენ ზარალით, აქვთ ნედლეულის და მასალის დიდი დანაკარგები.

მაშასადამე, ამ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების პირველი რიგის ამოცანაა დარაზმონ კომუნისტები და მუშები რენტაბელური, მომგებიანი მუშაობისათვის, რომ ყოველი საწარმო არამც თუ არ იღებდეს სახელმწიფო დოტაციას, არამედ მილიონობით მანეთ მოგებას აძლევდეს საბჭოთა სამშობლოს.

მეექვსე ნაკლოვანება ის არის, რომ დედაქალაქის საწარმოებში ფართოდ არ ინერგება ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოთა გამოცდილება ყველა საამქროს სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ. ეს ღონისძიება პროდუქციის გამოშვების გაზრდასთან ერთად მოგვცემს მასალებისა და სახსრების ხარჯვის ეკონომიას, უზრუნველჰყოფს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

მაშასადამე, პარტიულმა ორგანიზაციებმა აქტიური დახმარება უნდა გაუწიონ სამეურნეო ხელმძღვანელებს საწარმოს მუშაობის სწორად დაგეგმვაში, ყველა საამქროს სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანაში.

მეშვიდე ნაკლოვანება ის არის, რომ ზოგ საწარმოში მიჩქმალულია ოსტატის როლი, იგი გადაქცეულია ერთგვარ დისპეტჩერად, რომელსაც უხდება წვრილმან საქმეებზე სირბილი, ამიტომ ზრუნავს მარტოოდენ საწარმოო გეგმის შესრულების რაოდენობრივ მაჩვენებელზე და ყურადღებიდან რჩება საწარმოს დანაკარგებთან, მასალების, ნედლეულის, ინსტრუმენტის ზედმეტ ხარჯვასთან, წუნთან ბრძოლისა და სხვა საწარმოო საკითხები.

მაშასადამე, პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა აამაღლონ საწარმოში ოსტატის როლი, გახადონ იგი თავისი უბნის ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესების ორგანიზატორი.

ასეთია საქართველოს დედაქალაქის საწარმოების მიმდინარე წლის ექვსი თვის მუშაობის შედეგები და ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ ახასიათებენ ზოგიერთ ფაბრიკისა და ქარხნის მუშაობას. თბილისის ბოლშევიკები, რომელთაც გავლილი აქვთ შეუპოვარი შრომისა და ბრძოლის დიადი სტალინური სკოლა, რომლებიც აღზრდილნი არიან დიდი სტალინისადმი უანგარო სიყვარულის გრძნობით, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და პირადად ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის დახმარებით და ხელმძღვანელობით მოიპოვებენ ახალ-ახალ საწარმოო გამარჯვებებს მეოთხე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

გავაძლიეროთ მოსავლის აღების ტემპი!

აღვკვეთოთ დანაკარგი

კასპელი მოწინავე კოლმეურნეები ბეჯითად შრომობენ მარცვლეულის მოსავლიანობის გასადიდებლად. სოფელ მეტეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ნ. შარიფაშვილი) თვითეულ ჰექტარზე 18-20 ცენტნერი ქერი აიღეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 ცენტნერისა. ქვემო ჭალისა და ზემო ხანდაკის კოლმეურნეობებმა (თავმჯდომარეები ს. მაჭარაშვილი და მ. ადამაშვილი) ორმაგად შეასრულეს მარცვლეულის მოსავლიანობის გეგმა.

რაიონში ახლა მასობრივად არის გაჩაღებული მოსავლის აღება, ლეწვა და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება. ორგანიზებულად მოაწყო მკა და ლეწვა აღაიანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ი. ილურიძე). აქ 12 მკელი, 18 დამზულულებელი და მფოცხავი, ძნის მზიდავი და თავთავის ამკრეფი მუშაობს. რგოლები, რომელთა უმეტესობა მოსწავლე ახალგაზრდობისაგან შესდგება, წინასწარ შედგენილი კალენდარული გეგმის მიხედვით აწარმოებენ მოსავლის აღების სხვადასხვა სამუშაოს. ამასთან ერთად სწარმოებს ლეწვა და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება. ქერითა და ხორბლით დატვირთული მანქანები შეუწყვეტლივ მოედინებიან „ზაგოტზერნოს" კასპის მიმღები პუნქტისაკენ.

კარგად დაიწყეს მოსავლის აღება აგრეთვე სოფელ ქვემო ხანდაკის, კასპის, მეტეხის, ქებაანისა და სხვა კოლმეურნეობებმა. ნაყოფიერად მუშაობს მეტეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში მომუშავე კასპის მტს-ის მეცხრე კომბაინი (კომბაინერი ნ. პატარქალაშვილი), გეგმით გათვალისწინებული 8 ჰექტარის ნაცვლად ყოველდღიურად 12 ჰექტარზე იღებს მოსავალს და დღიურ დავალებას 150 პროცენტით ასრულებს. მაგრამ კასპის კოლმეურნეობა „ძმობის" მინდვრებზე მომუშავე კომბაინი (კომბაინერი ლ. ბანდურაშვილი) ხშირად ცდება ტექნიკური უწესრიგობის გამო, 8 ჰექტარის ნაცვლად დღიურად 2-3 ჰექტარზე იღებს მოსავალს. 15 დღის განმავლობაში მხოლოდ 29 ჰექტარზე აიღო მოსავალი. კომბაინის მოცდენის საქმეში არანაკლები ბრალი მიუძღვის კასპის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ამხ. ა. მერებაშვილი). კოლმეურნეობამ სათანადოდ ვერ მოამზადა ნაკვეთი კომბაინის ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად. ეს ნაკლი სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სოფელ იდლეთის, ბარდაანთუბნის, გარიყულის, ხოვლისა და სხვა კოლმეურნეობებში. აქ არ დაუწყიათ კარგად დამწიფებული მარცვლეული კულტურების აღება.

პურის დამზადების გეგმა წარმატებით შეასრულეს სოფელ საკორინთლოს, აგრეთვე პანტიანის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ს. რაზმაძე). ამ საქმეში დაწინაურდნენ სოფელ სამთავისის, გამდლისწყაროს, მეტეხის კიროვის სახელობის, ქებაანისა და ეზატის კოლმეურნეობებიც.

მოსავლის აღებას დაცდა არ უყვარს, კოლმეურნეობათა გამგეობებისა და საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების ვალია მთელი ძალები მიმართონ მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღებისათვის.

ვ. ბუზალაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა ულიანოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა. სურათზე: მ. ჩხარტიშვილი, თ. ჩხარტიშვილი და შ. ლომთაძე (სანერგის გამგე) უვლიან ციტრუსებს.

ფოტო რ. აკოფოვისა

პური—სახელმწიფოს

საქართველოს სსრ რაიონებში გაცხოველებით მიმდინარეობს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება, ლეწვა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება. კოლმეურნეები თავიანთ ვალდებულებას სამშობლოს წინაშე პირველი განალეწი საუკეთესო ხარისხის მოსავლით იხდიან.

15 ივლისისათვის წითელწყაროს რაიონმა „ზაგოტზერნოს" მიმღებ პუნქტს უკვე ჩააბარა 3.713,2 ტონა პური, სიღნაღის რაიონმა — 2.605,5 ტონა, მარნეულის — 899,1, თბილისის — 892,5, კაჭრეთის — 697,6, თეთრი წყაროს — 651,6, ბოლნისის — 629,3, ლაგოდეხის — 551,7, ახმეტის — 97,7, გარდაბნის — 215,1, გორის — 162,6, გურჯაანის—216,2, თელავის — 174,2 მცხეთის—141,6, საგარეჯოს — 209,6, ქარელის — 190,2, ყვარლის რაიონმა — 232 ტონა.

პური მნიშვნელოვანი რაოდენობით ჩააბარეს სახელმწიფოს აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ხაშურის, კასპის, დუშეთის, დმანისის, ბოგდანოვკის, ახალციხის, ასპინძის, ადიგენისა და სხვა რაიონებმა.

დროზე გამოვასწოროთ ნაკლოვანებები

ქვაბისხევის (ბორჯომის რაიონი) საბჭოთა არმიის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. ხაჭაპურიძე) მომზადებული შეხვდნენ მოსავლის აღებას. პურის მკა გაძლიერებული ტემპით სწარმოებს. მოსავლის აღებასა და თავთავების აკრეფაზე ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე დაძაბულად მუშაობს. კოლმეურნეები პ. მაისურაძე, ფ. ხაჭაპურიძე, ტ. მაისურაძე, ი. სარალიძე ორმაგად ასრულებენ ყოველდღიურ დავალებას.

კარგად მიმდინარეობს მოსავლის აღება და პირველი განალეწის სახელმწიფოსათვის ჩაბარება ჭობისხევის, დვირის, ზანავის, პატარა და დიდი ახალდაბის, კორტანეთის, ვარდგინეთის, ვაშლოვანის და სხვა კოლმეურნეობებში.

მაგრამ რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მოსავლის აღებისათვის მზადება. მაგალითად, ვარდევანის საბჭოთა კავშირის გმირების სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. სანაკოევი) შეუკეთებელია საწყობები, აკლიათ ინვენტარი: 3 ურემი, 18 ცელი, 14 ტომარა. აიდაროვის ოქტომბრის რევოლუციის 15 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. თომაევი) აკლიათ 10 ურემი, 4 კევრი, 14 ცელი, 10 ტომარა და სხვა ინვენტარი.

მოსავლის აღებისათვის მზადება არ დაუწყიათ აგრეთვე ლიკანის, ოდეთის, წითელი სოფლის, მაჭარწყლისა და რაიონის სხვა კოლმეურნეობებში. რაიონში აკლიათ 83 ურემი, 50 კევრი, 378 ცელი, 215 ტომარა და მრავალი სხვა ინვენტარი. ცელებისა და სხვა ინვენტარის შემოსაზიდად დღემდის არ შეუწუხებია თავი რაიკოოპკავშირის გამგეობას.

გუჯარეთ-მაჭარწყლის აგროუბანზე კოლმეურნეებს დახმარება უნდა გაუწიონ ბორჯომის რაიონის აღმასკომის სოფლის მეურნეობის რაიონული განყოფილების აგრონომებმა ა. მურჯიკნელმა და ი. ლურსმანაშვილმა, ხოლო ტაბაწყურის აგროუბანზე გ. დავითიანმა, მაგრამ ისინი მინდვრებში ყოფნას ბორჯომში დასვენებას ამჯობინებენ. ამითაც აიხსნება, რომ ამ აგრონომების სამოქმედო უბნის მთელი რიგი კოლმეურნეობანი დღემდე არ არიან მზად მოსავლის ასაღებად.

აგრონომებს მოსავლის უდანაკარგოდ აღების საქმეში მნიშვნელოვანი ამოცანა აკისრიათ. საჭიროა გავითვალისწინოთ ეს გარემოება და ქმედითი დახმარება გავუწიოთ კოლმეურნეობებს აგრომომსახურების საქმეში.

ვ. გურგენიძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

საქვების დასილოსება

საქართველოს კოლმეურნეობებს 15 ივლისისათვის ჩადებული ჰქონდათ 25.783 ტონა სილოსი, რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 17,2 პროცენტით.

ქლუხორის რაიონში გეგმა 10 პროცენტით არის შესრულებული, მაიაკოვსკის რაიონში — 6,8, პროცენტით, ახალქალაქის — 39,4, ბოგდანოვკის — 87,3, ახალციხის — 3,7, ასპინძის—34,3, ხაშურის — 5, ბორჯომის—37,6, წალკის — 51,7, თეთრი წყაროს — 32,7, გურჯაანის — 9, კაჭრეთის — 1,9, სიღნაღის — 29,8, წითელწყაროს 56, თელავის — 3,6, ახმეტის — 9,5, თბილისის — 1,7, მარნეულის — 1,3, საგარეჯოს — 2,4, დმანისის რაიონში — 50,2 პროცენტით.

ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე

სოციალისტური შრომის გმირის პირობა

საკოლმეურნეო სოფელში გაჩაღებულია ბრძოლა უხვი მოსავლის მისაღებად, ამხანაგ სტალინისათვის მიცემული პირობის პირნათლად შესასრულებლად. სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ წელს გაცილებით მეტი მოსავალი მოიყვანონ, ვიდრე შარშან. გასულ წელს ხულოს რაიონის სოფელ სტეფანიშვილების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა რამიზ ბერიძემ 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 72 ცენტნერი სიმინდი მოიწია და სოციალისტური შრომის გმირის წოდება მოიპოვა.

ხულოს რაიონული გაზეთის „კოლექტიური შრომის" 29 ივნისის ნომერში დაბეჭდილია ამხ. რამიზ ბერიძის წერილი: „ჰექტარზე 80 ცენტნერი სიმინდისათვის". რ. ბერიძის რგოლმა იკისრა წელს ჰექტარზე მიიღოს 80 ცენტნერი სიმინდი. რგოლის წევრები თავის სახელმოხვეჭილი ხელმძღვანელის თაოსნობით წარმატებით შრომობენ ამ ვალდებულების გასანაღდებლად. ამხ. ბერიძე მკითხველებს მოუთხრობს, თუ როგორი მუშაობით მოიპოვა შარშან რგოლმა წარმატება და როგორ იყენებენ შარშანდელ გამოცდილებას.

„ყანა რომ მეჩხერი არ გამოსულიყო,—ვკითხულობთ წერილში,—ჰექტარზე 150 კილოგრამი სიმინდი დავთესეთ. ზედმეტი სიმინდის გამოკლება ადვილია, ხოლო მეჩხერიანობა მუშაობას ართულებს, საჭირო ხდება გამოთესვა, გამორგვა. ამას, ჯერ-ერთი, დიდი დრო მიაქვს, მეორეც, გამოთესილი ან გამორგული სიმინდი ჩამორჩება პირველ ნათესს და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

ოთხჯერ გავთოხნეთ ფართობი. მესამემეოთხე გათოხნისას წუნწუხი შევიტანეთ, რამაც დიდად შეუწყო ხელი სიმინდის სწრაფად ზრდას".

შემდეგ მერგოლური სწერს რგოლის მოწინავე ადამიანებზე, მათ შრომითს მამაცობაზე და განაგრძობს:

„მიმდინარე წელს ჩემი რგოლი ძირითადად ძველი წევრებისაგან შესდგება. გამოყოფილი გვაქვს 10 ჰექტარი ფართობი. წელს შარშანდელ გამოცდილებას სრულად ვიყენებთ. თავის დროზე შევიტანეთ ფართობში სასუქი, მზადა გვაქვს დამატებითი კვებისათვის საჭირო სასუქი. რგოლში გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება. რგოლის წევრებიდან გამოირჩევიან მერიემ ბერიძე, ესმა ცეცხლაძე, ხენემ ართმელაძე, მევლუდ ცეცხლაძე და სხვ.

ჩვენ ვიკისრეთ თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ 80 ცენტნერი სიმინდი და ამ პირობას პირნათლად გავანაღდებთ".

ქისტურაჭესის მშენებლობაზე

საქართველოს კ. პ. (ბ) ყაზბეგის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს ორგანო გაზეთ „ახალი ხევის" № 39-ში მოთავსებულია წერილი სათაურით „27 ივნისი ქისტურაჭესის მშენებლობაზე". წერილში მოთხრობილია იმ კვირაობის შესახებ, რომელიც ამ დღეს რაიონის მშრომელებმა მოაწყეს მშენებელთა დასახმარებლად.

„ასზე მეტი კოლმეურნე და მუშა-მოსამსახურე მოვიდა ამ დღეს ქისტურაჭესის მშენებლობაზე. დილიდანვე სწრაფი ტემპით გაჩაღდა მუშაობა წყლის საგუბართან. მიჩენილი სამუშაო ყველაზე უფრო სწრაფი ტემპით შეასრულეს ძმებმა გიორგი და ნიკოლოზ შადურებმა, ალექსანდრე ფიცხელაურმა, ლადო გიგაურმა, ლადო ვალიშვილმა, იოსებ შადურმა და პავლე ჩოფიკაშვილმა. მათ ადრევე მოათავეს მათთვის მიჩენილი სამუშაო და შემდეგ სხვებს ეხმარებოდნენ მიწის სამუშაოებში... განსაკუთრებით აღსანიშნავია მოხუცი კოლმეურნის ვლადიმერ ჩქარეულის ენერგიული მუშაობა, რომელიც შვილთან ერთად მოვიდა ამ დღეს და დღიური დავალება ერთისამად შეასრულა".

ვემზადოთ რკინიგზელთა საკავშირო დღისათვის

კლიენტები აფერხებენ რკინიგზელთა ნორმალურ მუშაობას

თბილისის სატვირთო სადგურის კოლექტივი მონდომებით ემზადება რკინიგზელის საკავშირო დღის ღირსეული საწარმოო მაჩვენებლებით შეხვედრისათვის. ვაგონების დატვირთვის 6 თვის გეგმა კოლექტივმა 25 ივნისისათვის 104 პროცენტით შეასრულა, ხოლო გადმოტვირთვისა ჯერ კიდევ 15 მაისისათვის 147 პროცენტით გაანაღდა.

მატარებლის შემდგენელ ა. კაკაბაძის მეთოდით მუშაობამ საგრძნობლად გაადიდა შრომის ნაყოფიერება. შემდგენელი ა. კაკაბაძე მატარებლის სადგურში შემოსვლისთანავე სინჯავს ვაგონებს, რის შემდეგ მატარებელი გადაჰყავს დამხარისხებელ პარკში და თავისი ბრიგადის საშუალებით ერთსა და იმავე დროს მატარებლის დაშლასთან ერთად ახდენს მის შედგენას. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს სამუშაო დროს. მაგალითად, შემადგენლობის დაშლისათვის გეგმით გათვალისწინებულია 1 საათი და 10 წუთი, ა. კაკაბაძე ამ საქმეს ანდომებს მხოლოდ 40 წუთს. მატარებლის შედგენისათვის ნავარაუდევია 55 წუთი. იგი ამ სამუშაოს 30 წუთში ასრულებს. ყოველივე ეს ძლიერ ამცირებს სატრანზიტო ვაგონების მოცდენას. ა. კაკაბაძე მუშაობს უწუნოდ და უავარიოდ. რკინიგზელის საკავშირო დღის აღსანიშნავად მან იკისრა ივნისის დავალება 140 პროცენტით შეესრულებინა, სინამდვილეში კი დავალება 155,2 პროცენტით გაანაღდა.

დავალებათა შესრულებაში მაღალი საწარმოო მაჩვენებლები აქვთ აგრეთვე მატარებლის შემდგენლებს: ა. ქოსაშვილს, ბ. დათაშვილს და ა. კაკიაშვილს, რომლებიც დავალებებს 135-150 პროცენტით ასრულებენ.

რკინიგზელის დღის აღსანიშნავად სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან აგრეთვე მეისრეები. მეისრე ტ. იახნოვსკიმ დავალება 164 პროცენტით გაანაღდა, მ. გოგოლაშვილმა ერთნახევარი ნორმა გამოიმუშავა, ს. ბროძელი, ა. ბასიაშვილი და ზ. ფუტკარაძე დავალებას 140-145 პროცენტით ანაღდებენ.

რკინიგზელთა დღის შესახვედრად თბილისის სატვირთო სადგურის კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია სამტრედიის სატვირთო სადგურის კოლექტივი. სამტრედიელმა რკინიგზელებმა ეს გამოწვევა მიიღეს. თბილისელები კისრულობენ ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვის 9 თვის გეგმა შეასრულონ 8 თვეში, ე. ი. პირველი აგვისტოსათვის. სატრანზიტო ვაგონების მოცდენის ნორმა დაიყვანონ 11 საათამდე, ნაცვლად 14 საათისა, სატვირთო ოპერაციებით გათვალისწინებული ვაგონების მოცდენის ნორმა ნაცვლად 23 საათისა შეამცირონ 18,8 საათამდე.

წარმატება კიდევ უფრო თვალსაჩინო იქნებოდა, კლიენტების უმრავლესობა ხელს რომ არ უშლიდეს სადგურის გამართულ მუშაობას. კლიენტების ერთი ნაწილი სისტემატურად არღვევს ვაგონების დაცლისა და ტვირთების გაზიდვის დაწესებულ ვადებს.

ტრესტ № 11-ის ბაზის უფროსმა რამიშვილმა 10 დღეს მოაცდინა 32 ვაგონი, „ზაგოტზერნოს" თბილისის ბაზის მუშაკებმა 21 ვაგონი 273 საათს მოაცდინეს. საზკვებტრესტის დირექციის დაუდევრობით დიდი ხნით მოცდა ორი ვაგონი, რისთვისაც დირექციას 1.772 მანეთი ჯარიმა გადახდა. მთელი რიგი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, როგორც „საქნავთი", სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი, „თბილმომარაგება", თბილისის მაცივარი, „გლავსოლი", „საქმშენი", ცეკავშირი, საქართველოს ხე-ტყის მომარაგება, სამტრესტის ხე-ტყის ქარხანა, პურის პირველი და მეორე ქარხნები, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა, კერამიკის ქარხანა და სხვები, ვაგონების მოცდენით და ტვირთის მთელი თვეობით გაუზიდავობით დიდად უშლიან ხელს სატვირთო სადგურის ნორმალურ მუშაობას.

ი. ზამბახიძე

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„გავაუმჯობესოთ სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობა"

გაზეთ „კომუნისტის" 3 ივლისის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, სადაც გაკრიტიკებული იყვნენ მთელი რიგი სავაჭრო ორგანიზაციები და მათი მუშაკები, აგრეთვე მხილებული იყო ცალკეული პირების დანაშაულებრივი მოქმედება და სახელმწიფო ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტები.

ეს წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს. როგორც ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ამხ. შ. კუჭუხიძე გვატყობინებს, წერილში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და დამახინჯებათა აღმოსაფხვრელად ვაჭრობის სამინისტრომ გაატარა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი. მაგალითად, საქვაჭრობას დაევალა ქ. რუსთავში გახსნას სავაჭრო მაღაზიები და საზკვების საწარმოები. რაც შეეხება რუსთავის საკოლმეურნეო ბაზრის აშენებას, ის გათვალისწინებულია ქარხნის მშენებლობის გეგმაში, და მისი აშენების შემდეგ ვაჭრობის სამინისტრო მოაწყობს საკოლმეურნეო ვაჭრობას.

ვაჭრობის სამინისტრომ მშრომელთა დეპუტატების რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილების გამგეს სათანადო მითითება მისცა ქ. რუსთავში საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევისა და სასურსათო მაღაზიებში ანტისანიტარიის სალიკვიდაციოდ.

რესპუბლიკის ქვანახშირის რაიონებში მომხმარებელთა უკეთ მოსამარაგებლად, მომსახურების გასაუმჯობესებლად და მუშათა მომარაგების განყოფილებათა ქსელის გასაჯანსაღებლად ვაჭრობის სამინისტრომ სათანადო მითითებები მისცა „საქნახშირის" მუშათა მომარაგების სამმართველოს უფროსს ამხ. სიხარულიძეს და „საქშახტმშენის" მუშათა მომარაგების სამმართველოს უფროსს ამხ. ჭიჭინაძეს.

ქ. თბილისის სავაჭრო ქსელში გამოვლინებულ საბჭოთა ვაჭრობის წესების დამრღვევთა მიმართ საჭირო ზომების მიღებისა და ვაჭრობის ქსელისადმი მუდმივი ინსპექტირების შესახებ სათანადო განკარგულება მიეცა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების გამგეს ამხ. ჩომახიძეს.

საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტი

(55 წლისთავი მაიაკოვსკის დაბადებიდან)

ქუთაისის ყოფილ გუბერნიაში, ბაღდადში (ამჟამად მაიაკოვსკი) 55 წლის წინათ მეტყევის ოჯახში დაიბადა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ეპოქის უნიჭიერესი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი. ჯერ კიდევ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლე იყო ვლ. მაიაკოვსკი, როცა ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასები 1905 წლის რევოლუციის დღეებში თავდადებით იბრძოდნენ თვითმპყრობელობის დასამხობად, მჩაგვრელთა და ექსპლოატატორთა ბატონობის წინააღმდეგ. ამ გიგანტურმა ბრძოლებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს ჭაბუკი მაიაკოვსკის შეხედულებათა ჩამოყალიბების პროცესზე. აი რას ამბობს პოეტი ამ პერიოდისადმი თავისი დამოკიდებულების შესახებ:

„დაიწყო დემონსტრაციები და მიტინგები. მეც წავედი. კარგია... ძალზე გამოიცა სოციალისტების მიერ ფაქტების გამორკვევის, ქვეყნების სისტემატიზების უნარმა... მარქსისტულ წრეში შემიყვანეს... თავი სოციალ-დემოკრატად ჩავთვალე. გავაპარე მამის ბერდანა სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტში".

ვლ. მაიაკოვსკი უკვე 14 წლის ასაკში მიემხრო ბოლშევიკურ ორგანიზაციას და მუშაობდა როგორც პროპაგანდისტი მუშათა რევოლუციურ წრეებში, რისთვისაც მეფის მთავრობამ დააპატიმრა და „ბუტირკაში" მოათავსა, სადაც 11 თვე დაჰყო. პატიმრობიდან იგი განთავისუფლებულ იქნა მცირეწლოვანობის გამო.

შემდეგ ვლადიმერ მაიაკოვსკი მთლიანად გაიტაცა შემოქმედებითმა მუშაობამ ახალი სოციალისტური ხელოვნების შესაქმნელად. ამ პერიოდში წინასწარმეტყველურად გაისმოდა პოეტის სიტყვები: „რევოლუციის ეკლის გვირგვინით იგრგვინებს ცხრაას თექვსმეტი წელი". (პოემა — „ღრუბლები შარვლით").

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ უდიდესი შთამაგონებელი გავლენა მოახდინა პოეტის შემოქმედებაზე. იგი სავსებით და უყოყმანოდ დადგა რევოლუციის მხარეზე და მთელი თავისი მგზნებარე პოეტური პათოსით უმღერდა მშრომელი მასების განთავისუფლებას, მათს ძლევამოსილებას ბრძოლისა და შრომის ფრონტზე. „მივიღო თუ არ მივიღო? ასეთი კითხვა არ არსებობდა ჩემთვის... ჩემი რევოლუციაა. წავედი სმოლნიში. ვმუშაობდი. ვაკეთებდი ყველაფერს, რაც მომხვდებოდა". — ამბობს მაიაკოვსკი ოქტომბრის რევოლუციისადმი თავისი დამოკიდებულების შესახებ. ვლ. მაიაკოვსკი თავისი შემოქმედებით უმჭიდროესად არის დაკავშირებული სოციალისტურ, რევოლუციურ სინამდვილესთან, სწორედ ეს სინამდვილე არის მისი პოეტური ხმის დამახასიათებელი თვისება. იგი თავის თავს უწოდებს რევოლუციის ჯარისკაცს და არავითარი „შავი სამუშაოს" შესრულებას არ თაკილობს, ოღონდ მისი ეს მუშაობა გამოადგეს რევოლუციას, მუშათა კლასს. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს სამოქალაქო ომის დროს პოეტის მუშაობა რუსეთის დეპეშათა სააგენტოში, სადაც იგი მის მიერ შესრულებულ პლაკატებს წარწერებსაც უკეთებდა ლექსად. ამ წლების მანძილზე მაიაკოვსკის მიერ შესრულებულია სამიათასზე მეტი საბრძოლო შინაარსის პლაკატი, რომლებზეც დაუწერა ექვსიათასამდე გალექსილი ლოზუნგი. პოეტი ამ სამუშაოს ასრულებდა დიდტანიან ნაწარმოებთა შექმნასთან ერთად; სწორედ იმავე პერიოდში დასწერა მან ისეთი მონუმენტური ნაწარმოები, როგორიცაა „ასორმოცდაათი მილიონი", „მისტერია ბუფ" და სხვ.

პოლიტიკური სიმახვილე, პუბლიცისტურად მკვეთრი თვალსაზრისი, ფორმის ლაკონური უბრალოება და გაბედული მხატვრული ხერხები — აი რა არის მაიაკოვსკის პოეზიის მთავარი ნიშანდობლივი თვისებანი. ყველა ჭეშმარიტი საბჭოთა ადამიანის გრძნობები და ფიქრები გამოხატა პოეტმა თავის ერთ-ერთ შესანიშნავ ნაწარმოებში „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი". ამ პოემაში მაიაკოვსკიმ მონუმენტურად გამოჰკვეთა მუშათა კლასის გენიალური ბელადის ვლადიმერ ლენინის უკვდავი სახე, მისი რევოლუციური მოღვაწეობა, მთელი საბჭოთა ხალხის სევდა საყვარელი მასწავლებლის გარდაცვალებით გამოწვეული, მაგრამ არა უიმედო მოთქმა და წუწუნი, არამედ იმედიანი წინსვლა მილიონობით მშრომელებისა, ვინაიდან ლენინის საქმეს ღირსეული განმგრძობი აღმოუჩნდა ხალხთა ბრძენი ბელადის დიდი სტალინის სახით. სწორედ ეს ოპტიმიზმი და მომავლის ღრმა რწმენა გამოსჭვივის პოეტის შემდეგ სტრიქონებში:

„საკვამურების
ხეივნარებს
უცებ მოედვა
მილიონების
მკლავი,
თითქოს ქვეული ტალღად.
მეწამულ დროშას
ამსგავსებენ წითელ მოედანს,
აზიდულად
რომ მიიწევს ზეცისკენ
მაღლა.
ყოველი ხაზი ამ დროშისა
იმედებს ბადებს,
ისევ ცოცხალი
გვეუბნება
სიტყვას ლენინი:
— უკანასკნელი
ბრძოლისათვის
მუშებო, დადექ!
ზურგი და მუხლი
გაიმართე,
მონავ დევნილო,
პროლეტარებო,
მწყობრად ურთერთს
მიეცით მხარი,
სწრაფს და მხიარულს
გაუმარჯოს რევოლუციას:
ეს ერთადერთი
უდიდესი
ლაშქრობა არის,
რომელიც ოდეს
ისტორიას გამოუცდია".

დიდმა სტალინმა ვლადიმერ მაიაკოვსკის შესახებ სთქვა: „მაიაკოვსკი იყო და რჩება ჩვენი საბჭოთა ეპოქის საუკეთესო, უნიჭიერეს პოეტად". როგორც ჭეშმარიტად საბჭოთა პოეტს, სოციალისტური ქვეყნის მგზნებარე მომღერალს, მაიაკოვსკის თავისი პოეზიის უმთავრეს საგნად მიჩნეული აქვს უანგარო სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი, საბჭოთა სახელმწიფოსადმი. საბჭოთა პატრიოტიზმის ნათელი და კეთილშობილური გრძნობა არის მაიაკოვსკის გმირული შემოქმედების მთავარი წყარო და შთამაგონებელი საწყისი. ჩვენი ქვეყნის სიდიადის უკვდავ ჰიმნს წარმოადგენს მაიაკოვსკის შესანიშნავი პოემა „კარგია". მასში პოეტმა ძლიერი შთაგონებით უმღერა ჩვენს აყვავებულ სამშობლოს, ჩვენს დიად აწმყოს, იგი მოგვიწოდებს ბრძოლისაკენ, კიდევ უფრო უკეთესი და ბრწყინვალე მომავლისათვის.

ღრმა პატრიოტული გრძნობის მკაფიო გამოხატულებაა აგრეთვე მაიაკოვსკის ლექსი „საბჭოთა პასპორტი":

„ჯანდაბას იქით
ყველა მოწმობა,
მაგრამ ამას კი
ვერ შეველევი!
ვიღებ
ამ შარვლის განიერ
ჯიბით,
თითქოს
საგანძურს ძვირფასს ვალაგებ.
წაიკითხეთ,
აღივსეთ ჯიბრით:
საბჭოთა ქვეყნის
ვარ მოქალაქე".

ასე ძვირფასი და საამაყოა პოეტისათვის იმის შეგნება, რომ იგი საბჭოთა ქვეყნის მოქალაქეა, თავისუფალი და მომავლის რწმენით აღსავსე და არაფრით არა ჰგავს იმ ქვეყნების მოქალაქეს, სადაც კაპიტალის კლანჭებში სული ეხუთებათ მილიონობით ადამიანებს, სადაც ექსპლოატაციის მძიმე უღელ ქვეშ გმინავენ მშრომელი მასები, შეპყრობილნი შიშისა და შურისძიების გრძნობით კაცობრიობის ბნელეთის მოციქულებისადმი. ასეთი გარემოცვის ფონზე მით უფრო სასიხარულო და ძვირფასია სიცოცხლე ისეთ ქვეყანაში, სადაც კაპიტალიზმის მგლური კანონი ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის შესახებ სამუდამოდ არის აღმოფხვრილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცების შედეგად. ამ მონაპოვართა ხიშტითა და სიტყვით დაცვისა და განმტკიცებისათვის ბრძოლისაკენ მოგვიწოდებს მაიაკოვსკი თავისი ლექსის შესანიშნავი სიტყვებით.

უსაზღვროა პოეტის სიყვარული საბჭოთა სამშობლოსადმი, რომელიც მით უფრო ახლობელია, რამდენადაც საზარელი და შემაძრწუნებელია კაპიტალისტური სამყარო, სადაც დოლარისა და სტერლინგის მაგნატები ყოველ ღონეს ხმარობენ შეინარჩუნონ დასაღუპავად განწირული თავიანთი მდგომარეობა. მაიაკოვსკის აქვს ერთი ლექსი, რომელიც მიძღვნილია ქრისტეფორე კოლუმბისადმი. ამ ლექსში პოეტი ამბობს: „რაც შემეხება მე პირადად, ამერიკას დავხურავდი, ოდნავ გავწმენდდი და შემდეგ ისევ აღმოვაჩენდი ხელმეორედ".

ასეთ ორიგინალურ, პოლიტიკურად მახვილ და ღრმა პუბლიცისტურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს პოეტი ბევრი აქტუალური საკითხისადმი. ვლადიმერ მაიაკოვსკი მთელი თავისი შემოქმედებითი პათოსით და მგზნებარე პოეტური ხმით ეხმაურება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას, საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლას კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის.

პ. ბახტურიძე

ამერიკის გარანტიები დასავლეთის ბლოკს*

დასავლეთის ბლოკის შეკოწიწებამ დემონსტრაციული აურზაური გამოიწვია რეაქციული გაზეთების ფურცლებზე. საერთაშორისო თანამშრომლობის მოწინააღმდეგენი, რომლებიც ახალ სამხედრო ავანტიურათა გეგმებს ამზადებენ, ყოველნაირად ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ დასავლეთის ბლოკი წარმოადგენს ერთგვარ „თავდაცვითს" ნაგებობას, რომელსაც რაიმე სამხედრო-პოლიტიკური მიზანი არა აქვს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ „ბრიუსელის პაქტის" მონაწილენი ერთ ჭერქვეშ გაერთიანდნენ მხოლოდ „ეკონომიური თანამშრომლობისათვის" და რომ საერთოდ მათ შექმნეს ორგანიზაცია, რომელიც ცოტათი განსხვავდება ვეგეტარიანული სასადილოსაგან და სწრაფი დახმარების სადგურისაგან. ბრიუსელის თანასაზოგადოება, როგორც ლონდონის რადიოს მიმომხილველი გორდონ უოტერფილდი ირწმუნებოდა, გამოიწვევდა ჟან ჟაკ-რუსოს, კანტისა და ვოლტერის აღტაცებას, რადგან „დასავლეთის კავშირის იდეა ისევე ძველია, როგორც თვით ევროპა".

ბევინისა და ბიდოს ბრიუსელის ქმნილებისათვის ძღვენის მირთმევის ეს დღესასწაული არც თუ იმდენად ხანს გაგრძელდა. დასავლეთის ბლოკს ზედიზედ ჩამოშორდა იმ ორგანიზაციის ნიღაბი, რომელიც თითქოს შექმნილია მხოლოდ თანამშრომლობისათვის „ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ საკითხებსა და კოლექტიურ თავდაცვაში". დასავლეთის ბლოკი ახლა ხალხების წინაშე წარმოსდგა მთელი თავისი საძაგელი სახით, როგორც ევროპაში ახალი აგრესიის მოწყობის შტაბი. მის გამოაშკარავებას ხელი შეუწყეს ვაშინგტონის სწორედ იმ წრეებმა, რომელთა ინიციატივითა და დაჟინებითი მოთხოვნით შეიქმნა დასავლეთის ბლოკი.

ვაშინგტონში დაწყებული მოლაპარაკება დასავლეთის ბლოკისათვის სამხედრო გარანტიების შესახებ, ე. ი. მოლაპარაკება სამხედრო კავშირზე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის ბლოკის ხუთ სახელმწიფოს შორის, სავსებით ამსხვრევს ფარისევლური და ცრუ პროპაგანდის ნაგებობას. მოლაპარაკება სახელდობრ სწორედ ვაშინგტონში სწარმოებს, სადაც უკვე იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის მუდმივი გაერთიანებული სამხედრო საბჭო, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის შტაბების უფროსთა გაერთიანებული საბჭო. ისინი მოასწავებენ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების აშკარა გადასვლას კოალიციათა პოლიტიკაზე, უკვე სამხედრო კავშირების არა მარტო წახალისების, არამედ ამ კავშირებში ამერიკის შეერთებული შტატების უშუალო მონაწილეობის პოლიტიკაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ვაშინგტონის მოლაპარაკება „არაოფიციალური", წინასწარი ხასიათისაა. ამასთან კომუნიკე იმოწმებს რეზოლუციას, რომელიც ამერიკის სენატმა მიიღო 11 ივნისს და რომელიც ცნობილი გახდა „ვანდენბერგის რეზოლუციის" სახელწოდებით. ამ რეზოლუციაში გათვალისწინებულია შესაძლებლობა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები შეუერთდებიან „რეგიონარულ და სხვა კოლექტიურ შეთანხმებებს, რომლებიც ემყარებიან ეფექტიან თვითდახმარებასა და ურთიერთდახმარებას". ეს იყო მოწოდება იმპერიალისტური პოლიტიკის აქტივიზაციისაკენ და დასავლეთ ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სტრატეგიული პლაცდარმის მოწყობისაკენ.

ოფიციალური მომზადება ჯერ კიდევ იმ დღეს დაიწყო, როცა ინგლისის, საფრანგეთისა და ბენილუქსის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა ბრიუსელში ხელი მოაწერეს პაქტს „დასავლეთის კავშირის შესახებ".

ამ დღეს — 1948 წლის 17 მარტს — პრეზიდენტმა ტრუმენმა კონგრესის ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც შეიცავდა დასავლეთის ბლოკისათვის სამხედრო გარანტიათა დაპირებას. „ვანდენბერგის რეზოლუცია", რომელიც ამ სიტყვას ეხმაურება, აღმოჩნდა მიმართვა იმდენად არა თეთრი სახლისადმი, რამდენადაც დასავლეთის ბლოკის მონაწილეებისადმი.

ეს ახალი ქამანდი იყო, რომელიც ამერიკის დიპლომატიამ დასავლეთ ევროპას მოსდო. ამერიკის პროპაგანდა დასავლეთ ევროპის რეაქციონერ პოლიტიკოსებს ჩასჩიჩინებდა, რომ დასავლეთ ევროპას საფრთხე თითქოს მოელის აღმოსავლეთიდან, რომ საბჭოთა საოკუპაციო ჯარები გერმანიაში მხოლოდ საბაბს ელიან, რათა მარშით გაემართონ ატლანტის ოკეანისაკენ და რომ მხოლოდ ამერიკის სამხედრო გარანტიებს შეუძლიათ გააქარწყლონ ჰერსტის ჟურნალისტების მიერ მოგონილი ეს საფრთხე.

ამ ზღაპრის გავრცელებით ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს სურთ თავიანთი გავლენის ორბიტში იყოლიონ დასავლეთ ევროპის ქვეყნები, პოლიტიკურად დაასაბუთონ „ევროპის ეკონომიური აღდგენის" ყბადაღებული გეგმა და უზრუნველჰყონ დასავლეთ გერმანიაში ამერიკის პროგრამის წარმატება.

სამხედრო გარანტიები, „მარშალის გეგმა" და გერმანიის გათიშვის დამთავრება დასავლეთ ევროპის დამონებისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების არა მარტო ამერიკის კაპიტალის ქვეყნების მეხარკეებად გადაქცევის, არამედ ამერიკის გენერალური შტაბის საექსპერიმენტო ტერიტორიად გადაქცევის ერთი და იმავე პოლიტიკის რგოლებია.

ვაშინგტონის მოლაპარაკება საკმაოდ ნათელ შუქსა ჰფენს, თუ ძალთა რა თანაფარდობაა განზრახულ ამერიკა-ევროპის კავშირში. ამ კავშირის საფუძვლად ამერიკის გარანტიებს აცხადებენ. თვით დასავლეთის ბლოკის მონაწილეებს, რომლებიც დიდი ხანია უკვე იხვეწებიან ამ გარანტიას, როგორც ცით მოვლენილ ძღვენს, არა ერთხელ უგრძნობინებიათ, რომ თუ ამერიკის ხელმძღვანელობა და ამერიკის სტანდარტიზებული შეიარაღება არ იქნა, ისინი უმოქმედობისათვის იქნებიან განწირულნი.

ამრიგად აღიარებულია, რომ დასავლეთის სამხედრო კავშირის ხუთკუთხიანი პირამიდის მწვერვალზე სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები იქნებიან. მათს ამ გაბატონებულ მდგომარეობას ხელი უნდა შეუწყოს კანადამ, რომელიც ჩაბმულია სამხედრო გარანტიების მოლაპარაკებაში. კანადის მონაწილეობა ვაშინგტონის თათბირში ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნავს ინგლისის ნამდვილ როლს დასავლეთის სწორედ იმ ბლოკში, რომელიც ბევინს ევროპაში ინგლისის მდგომარეობის განმტკიცებისა და „ევროპის წონასწორობის" ყბადაღებული ინგლისური პოლიტიკის აღდგენის საშუალებად მიაჩნდა. ბევინი ამაოდ ელოლიავებოდა ამ იდეას. დასავლეთის ბლოკი არის არა ინგლისური, არამედ ამერიკული წამოწყება.

„მანჩესტერ გარდიანის" დიპლომატიურ მიმომხილველს, რომელმაც შეიტყო, რომ კანადა მონაწილეობს სამხედრო გარანტიათა შესახებ მოლაპარაკებაში, ტყუილად გაუხარდა, რომ ვაშინგტონში დაისახა „დასავლეთის კავშირის ჩრდილო ატლანტის კავშირად გადაქცევის" პერსპექტივა. ვაშინგტონში დაისახა სხვა პერსპექტივები — ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სტრატეგიულ სისტემაში კანადის საბოლოოდ შეტანისა და ამერიკის გენერალური შტაბის დამხმარე ინსტრუმენტად ინგლისის საბოლოოდ გადაქცევის პერსპექტივები.

სამხედრო გარანტიები დასავლეთი ბლოკისათვის დასავლეთ ევროპის იმ რეაქციული პოლიტიკოსებისადმი დათმობა და საზღაური როდია, რომლებმაც მორჩილად მოაწერეს ხელი „მარშალის გეგმის" შესახებ კაბალურ ორმხრივ შეთანხმებებს. სამხედრო გარანტიები მორიგი ეტაპია ევროპასა და ევროპის ქვეყნების საზღვარგარეთულ სამფლობელოებში ამერიკული იმპერიალიზმის დანერგვის გზაზე.

ვაშინგტონის მოლაპარაკებას შემთხვევით როდი დაემთხვა ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიისა და ჰოლანდიის კოლონიებზე ამერიკის შეტევის ახალი ტალღა. ამერიკის დიპლომატია დაჟინებით მოითხოვს, რომ „ბრიუსელის პაქტი" გაფართოვდეს „დასავლეთის ბლოკის" მონაწილეების კოლონიურ სამფლობელოთა ხარჯზე. შეერთებული შტატები დაჟინებით მოითხოვენ, რომ მთელი მათი მოთხოვნა კოლონიურ ნედლეულზე დაუყოვნებლივ და სიტყვაშეუბრუნებლივ სრულდებოდეს. მათ იმედი აქვთ შეუზღუდავად ჩაიგდონ ხელში აფრიკისა და აზიის ძვირფასი ნედლეული წყაროები. დასავლეთის ბლოკი ამერიკის მონოპოლიების ხელში გასაღებია, რითაც იღება იმ ნედლეული რესურსების კარი, რომლებიც ამერიკის სამხედრო მრეწველობას კვებავენ.

მაგრამ არის კიდევ ერთი მხარე, რომელიც ახასიათებს სამხედრო გარანტიათა შესახებ მოლაპარაკების იდუმალ აზრს. იგი მოწმობს, რომ შეერთებულ შტატებს არა სწამთ დასავლეთ ევროპის რეაქციული რეჟიმების სიმტკიცე, რომ მათ განზრახული აქვთ განამტკიცონ დასავლეთის ბლოკი, როგორც იარაღი დასავლეთ ევროპაში მზარდი დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ ბრძოლის და დამოკიდებული და ჩაგრული ხალხების სამყაროში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლისა. დასავლეთის ბლოკი, განმტკიცებული ამერიკის სამხედრო გარანტიებით, არის ჟანდარმი, რომელიც უოლ-სტრიტს ემსახურება და უზრუნველჰყოფს ევროპისა და კოლონიური ხალხების ექსპლოატაციას „მარშალის გეგმის" ალმით.

არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ხალხები შეურიგდებიან ექსპანსიონისტური გეგმების ბრმა იარაღად მათი გადაქცევის პროგრამას. ისინი სამხედრო ბლოკებისა და მსოფლიოს ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ ბანაკებად გათიშვის პოლიტიკის წინააღმდეგი არიან.

ვაშინგტონის მოლაპარაკების მონაწილენი მოქმედებენ მშვიდობისა და უშიშროებისადმი ხალხთა მისწრაფების წინააღმდეგ. სწორედ ეს არის დასავლეთის ბლოკისადმი ამერიკის სამხედრო გარანტიათა „მტკივნეული ადგილი".

ვ. ლინეცკი

*) სტატია დაწერილია სპეციალურად „კომუნისტისათვის".

ტოლიატის ჯანმრთელობის მდგომარეობა

რომი, 17 ივლისი. (საქდესი). სენატორმა ტერაჩინიმ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ წუხელ ტოლიატიმ კომპარტიის ვიცე-მდივანს სეკიას უთხრა: „თავს ცოტა უკეთ ვგრძნობ".

რომი, 18 ივლისი. (საქდესი). ავტორიტეტული ცნობებით, ტოლიატის ჯანმრთელობის მდგომარეობას გუშინდელი დღის განმავლობაში ერთგვარი გაუმჯობესება ეტყობოდა.

რომი, 18 ივლისი. (საქდესი). დღეს დილით გამოცემულ ბიულეტენში ნათქვამია: „ღამე პაციენტმა საკმაოდ მშვიდად გაატარა. რაიმე ახალი ცვლილება არ მომხდარა. ტემპერატურა, პულსი, სუნთქვა და სისხლის წნევა იგივე აქვს, რაც წინათ ჰქონდა. მომავალში ბიულეტენი ღღეღამეში ერთხელ გამოიცემა დილაობით. პროფესორი ფრუგონი, პროფესორი ვალდონი, ექიმი სპალონე".

იტალიის პარლამენტში

რომი, 18 ივლისი. (საქდესი). მთავრობის უმრავლესობამ სენატში გუშინ მიიღო დეპუტატთა პალატის მიერ უკვე მოწონებული კანონი იარაღის შენახვისათვის მკაცრი სანქციების შესახებ, ამასთან უარჰყო ოპოზიციის მიერ წარდგენილ შესწორებათა არა მარტო კენჭისყრა, არამედ განხილვაც კი.

ოპოზიციის ყველა სენატორმა სხდომის დარბაზი დასტოვა ნიშნად პროტესტისა უმრავლესობის ანტიკონსტიტუციური მოქმედების წინააღმდეგ, რადგან უმრავლესობა დასტურს აძლევს მთავრობის ანტიხალხურ პროვოკაციულ პოლიტიკას.

20 ივლისს სენატში უნდა განიხილონ მთავრობისადმი ნდობის რეზოლუცია, რომელიც ტერაჩინიმ შეიტანა.

დეპუტატთა პალატის სხდომები 27 ივლისს განახლდება.

პასუხად დეპუტატ პაიეტის შეკითხვისა იმის შესახებ, თუ რა ზომებია მიღებული ხარაგატელთა გაზეთ „უმანიტას" დირექტორ ანდრეონის წინააღმდეგ, რომელიც თავის გაზეთში ტოლიატის მოკვლას აქეზებდა, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ კასიანიმ განაცხადა, რომ მთავრობა „უფლებამოსილი არ არის" რაიმე ნაბიჯი გადადგას ამ შემთხვევაში. პაიეტამ საპასუხო განცხადებაში აღშფოთება გამოსთქვა იმის გამო, რომ მთავრობა აშკარად აქეზებს საშინელ პროვოკაციებს პრესაში, და მოითხოვა, რომ სასამართლო ხელისუფლებმა იმოქმედონ დამნაშავე ანდრეონის წინააღმდეგ.

პოლიტიკური რეპრესიები იტალიაში საყოველთაო გაფიცვის მონაწილეთა წინააღმდეგ

რომი, 18 ივლისი. (საქდესი). იტალიის ზოგიერთ რაიონში შინაგან საქმეთა მინისტრ შელბას ბრძანებით პოლიტიკურ რეპრესიებს მიმართავენ ამჟამად უკვე დამთავრებული საყოველთაო გაფიცვის მონაწილეთა წინააღმდეგ. აბადია-სან-სალვატორეს (სიენის პროვინცია) რაიონში, სადაც კარაბინერთა უნტერ-ოფიცერი მოჰკლეს, კარაბინერთა 4 ბატალიონი მოქმედებს ჯავშნიანი მანქანებით, ტანკებით, ავიაციითა და პარაშუტისტთა რაზმებით, რომლებიც „ჩხრეკენ" ამ მიდამოს. ამ ზონის ყველა მცხოვრებმა—საყოველთაო გაფიცვის მონაწილეებმა — დაახლოებით 5 ათასმა კაცმა სოფლები მიატოვა, მთებში გაიქცა, რათა თავი გადაირჩინონ და ცოლშვილი გადაარჩინონ პოლიციელების მხრივ ანგარიშსწორებისაგან [?].

ანსას ოფიციალური სააგენტო და რადიო „მეამბოხეებს" უწოდებენ ამ ზონის მოსახლეობას. თავიანთი ადგილებიდან აყრილი მოსახლეობა ამიატის მთებში იმალება, როგორც გერმანელი ოკუპანტებისა და ფაშისტების წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლის დროს.

სიენის შრომის პალატა იუწყება, რომ ინციდენტები, რომლებსაც რეპრესიები მოჰყვა, გამოიწვიეს თავით ფეხამდე შეიარაღებულმა პოლიციელთა რაზმებმა, რომლებიც მინისტრმა შელბამ გაფიცვის დღეს გაგზავნა ამ ზონაში.

პოლიციამ სროლა აუტეხა თავმოყრილ ხალხს, შემდეგ აღშფოთებულმა მოსახლეობამ პოლიცია განაიარაღა.

ჩივიტა კასტელიანაში (ვიტერბოს პროვინცია) პოლიცია მასობრივად აპატიმრებს ხალხს და მძევლები მიჰყავს ჰიტლერელ სს-ელთა მეთოდით. ამ ზონაში დაპატიმრებულია 200 კაცი; რამდენიმე ასი მცხოვრები ახლო-მახლო მთებში იმალება. კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის კომიტეტში ჩხრეკა მოაწყეს და ხელთ იგდეს არქივები.

ტურინის მიდამოებშიც მოქმედებენ პოლიციის სადამსჯელო ექსპედიციები. დაპატიმრებულთ სცემენ.

რომისა და მილანის შრომის პალატებმა მკაცრი გაფრთხილებით მიმართეს ხელისუფლებს და მოითხოვეს, რათა გაათავისუფლონ ცენტრსა და პროვინციაში ყველა დაპატიმრებული და დაუყოვნებლივ შესწყვიტონ რეპრესიები. რომის შრომის პალატა გაფრთხილებას იძლევა, რომ თუ მთავრობამ უარი სთქვა, მშრომელთა პროფკავშირები მაუზე დამოკიდებულ ღონისძიებებს განახორციელებენ.

პოლიტიკური დევნის მსხვერპლთა ეროვნული ასოციაცია სათავეში ჩაუდგა სახალხო მოძრაობას ყველა დაპატიმრებულის განთავისუფლებისა და რეპრესიათა შეწყვეტისათვის.

თავდასხმა იაპონიის კომპარტიის გენერალურ მდივან ტოკუდაზე

ლონდონი, 19 ივლისი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, დღეს მოახდინეს თავდასხმა იაპონიის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივან კიუიცი ტოკუდაზე. თავდამსხმელმა ისროლა ხელის გრანატი, რომელიც ტოკუდას ფეხებთან გასკდა და დასჭრა იგი კისერში, მარცხენა ხელსა და ფეხში. ტოკუდა, რომელიც პარლამენტის წევრია, გამოდიოდა საგას მუნიციპალიტეტში კოცსის კუნძულზე. გრანატი ავენიდან ისროლეს და მთელი დარბაზი შეირყა.

შემდეგ ექიმებმა გამოაცხადეს, რომ გრანატის ნამსხვრევებმა ტოკუდას 38 ჭრილობა მიაყენა.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, თავდამსხმელი „ნებაყოფლობით ჩაბარდა ამერიკის კონტრდაზვერვის აგენტებს".

„დეილი უორკერი" ბერნადოტის ანტისაბჭოთა საქმიანობის შესახებ

ნიუ-იორკი, 17 ივლისი. (საქდესი). სტატიაში, რომელიც განიხილავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შუამავალ ბერნადოტის საქმიანობას, გაზეთი „დეილი უორკერი" აღნიშნავს, რომ 1940 წლის 7 იანვარს მან ამხილა საქმიანობა ბერნადოტისა, რომელიც ცდილობდა ამერიკელი მფრინავები შეეგროვებინა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ფინელ გენერალ მანერჰეიმის ხელმძღვანელობით. სტატიაში ნათქვამია, რომ მაშინ ბერნადოტს ფუფუნებით მოწყობილი შტაბბინა ჰქონდა „ბანკ ოფ მანჰეტენ კომპანის" შენობაში (ნიუ-იორკი, უოლ-სტრიტი, 40), საიდანაც არალეგალურ საქმიანობას ეწეოდა, ცდილობდა რა ფარულად გაეგზავნა ამერიკელი მფრინავები ფინეთს, რაც ეწინააღმდეგებოდა ამერიკის შეერთებული შტატების კანონს ნეიტრალიტეტის შესახებ. მაშინ გაზეთმა „დეილი უორკერმა" ამხილა, რომ ბერნადოტი გაზეთ „დეილი უორკერის" რედაქციის მუშაკს 750 დოლარ თვიურ ჯამაგირს და საძღვევო პრემიას შეჰპირდა მანერჰეიმის მხარეზე ბრძოლისათვის. არასასურველმა გახმაურებამ, რაც ამ მხილების შედეგი იყო, ბერნადოტი იძულებული გახადა შტაბ-ბინა მიეტოვებინა უოლ-სტრიტზე და შეეწყვიტნა არალეგალური საქმიანობა, როგორც ანტისაბჭოთა ინტერვენტს. იმ დროს ბერნადოტმა სცადა თავი გაემართლებინა უსაფუძვლო განმარტებით, რომ იგი ამერიკელ მფრინავებს კი არ აგროვებდა, არამედ მხოლოდ რჩევას აძლევდა მათ. სტატია ამხილებს ბერნადოტის მჭიდრო კავშირს შეძლებულ ამერიკელ რეაქციონერებთან.

სირიისა და ლიბანის კომუნისტური პარტიების მანიფესტი

პრაღა, 17 ივლისი. (საქდესი). როგორც ტელეპრესის სააგენტო იუწყება, სირიისა და ლიბანის კომუნისტურმა პარტიებმა გამოაქვეყნეს ერთობლივი მანიფესტი, რომელიც ორივე ქვეყნის ხალხებს მოუწოდებს „გაერთიანდნენ ბრძოლაში, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ ინგლის-ამერიკის შეთქმულებას პალესტინის წინააღმდეგ და სირიისა და ლიბანის არსებობის წინააღმდეგ".

„დღესავით ნათელი გახდა,—ნათქვამია მანიფესტში,—რომ პალესტინაში წარმოებული ომი იმპერიალისტური ომია, რომლის მიზნებიც, უწინარეს ყოვლისა, მიმართულია არაბთა ინტერესების წინააღმდეგ; ეს არის ომი ნავთისა და სტრატეგიული პოზიციისათვის, რომლებს გამოც ლონდონელი და ვაშინგტონელი მბრძანებლები ერთმანეთს ედავებიან; ეს არის ომი, რომლის მიზანია—დაასუსტოს არაბები არა მარტო პალესტინაში, არამედ მთელ არაბულ აღმოსავლეთში; ეს არის ომი, რომელიც იმისათვის სწარმოებს, რომ მოწესრიგდეს ინგლის-ამერიკის უთანხმოება და „მმართველ რეაქციულ ჩროვასთან არაბულ ქვეყნებში" მიღწეულ იქნას შეთანხმება გარკვეულ საფუძვლებზე".

შემდეგ მანიფესტში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ იმპერიალისტები აპირებენ შექმნან „აღმოსავლეთის ბლოკი", რომელიც არაბულ ქვეყნებს გადააქცევს „სამხედრო ბაზად და აგრესიის საშუალებად საბჭოთა კავშირის და აღმოსავლეთ ევროპის სახალხო დემოკრატიათა წინააღმდეგ".

პალესტინის ომის მიზანია, ნათქვამია მანიფესტში, ის კი არა, რომ ხელი შეუშალოს პალესტინის გაყოფას, როგორც ამას აცხადებენ. „მიზანი ის არის, რომ გაყოფა განხორციელდეს ინგლისელ და ამერიკელ იმპერიალისტთა სასურველი სახით. გაყოფის იმ სახით განხორციელება, როგორც ეს ინგლისს სურს, ე. ი. ტრანსიორდანიის გაფართოებით, არა მარტო ღუპავს პალესტინელ არაბთა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების იმედს და არა მარტო ადიდებს პალესტინაში იმპერიალისტების დამკვიდრების შესაძლებლობას, არამედ იგი აგრეთვე კვლავ ჰქმნის დიდი სირიის გეგმის განხორციელების საფრთხეს".

მანიფესტში ხაზგასმით არის აღნიშნული საბჭოთა კავშირის პოლიტიკის სამართლიანობა.

მდგომარეობა პალესტინაში

თელ-ავივი, 17 ივლისი. (საქდესი). რადიო „ისრაელის ხმა" გადმოგვცემს:

არაბთა ჯარების დიდი ძერიშები ლატრუნის ჩრდილოეთით მდებარე რაიონებში სავსებით მოგერიებულია. ისრაელის ჯარებმა მწყობრიდან გამოიყვანეს დიდძალი ჯავშნიანი მანქანა და ხელთ იგდეს ბევრი საჭურველი.

სამხრეთის ფრონტზე ისრაელის ჯარები გეგმის თანახმად განაგრძობდნენ არაბთა ჯარებისაგან ტერიტორიის გაწმენდის ოპერაციებს.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაცია ბუქარესტს გაემგზავრა

პრაღა, 17 ივლისი. (საქდესი). დღეს საღამოს პრაღიდან ბუქარესტს გაემგზავრა ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან პრემიერ-მინისტრი ზაპოტოცკი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე შვერმა [?], საგარეო საქმეთა მინისტრი კლემენტისი და საგარეო ვაჭრობის მინისტრი გრეგორი.

უნგრეთის მთავრობის დელეგაცია სოფიიდან გაემგზავრა

სოფია, 18 ივლისი. (საქდესი). დღეს უნგრეთის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ლაიოშ დინიეში მეთაურობს, უნგრეთს გაემგზავრა. დელეგაცია ვაგზალზე გააცილეს: ბულგარეთის პრემიერ-მინისტრმა გიორგი დიმიტროვმა, მინისტრებმა, დიდი სახალხო კრების პრეზიდიუმის წევრებმა, სამამულო ფრონტის ეროვნული საბჭოს წევრებმა, დიპლომატიური კორპუსის წევრებმა და ბულგარეთის არმიის გენერალიტეტმა.

ახალი წიგნები

გამოვიდა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის „შრომები" № 1. მასში მოთავსებულია შემდეგი სტატიები: ფ. მახარაძე — საქართველოს მუშათა კლასი 1917-1921 წლებში, ლ. გორგილაძე — „მესამე დასი" — პირველი მარქსისტული, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია საქართველოში, ი. მირცხულავა — საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა სათათბიროს ლენინურ ტაქტიკისათვის რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, ა. კიკვაძე — საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებათა ბრძოლაში, ს. ბერიძე — თბილისის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭო (1906-1907 წ. წ.), ზ. გიგიშიძე — ავლაბრის არალეგალური ბოლშევიკური სტამბა (1903-1906 წ. წ.).

„შრომებში" მოთავსებულია აგრეთვე ბათუმის სოციალ-დემოკრატიული მუშათა კომიტეტის 11 ფურცელი (1902 წლის). „შრომები" შეიცავს 222 გვერდს, ფასი 5 მან. 60 კაპ.

სამეცნიერო სესია

23 და 24 ივლისს დილის 11 საათზე აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 1) ეწყობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო ძალების შემსწავლელი საბჭოს მეორე სესია, მიძღვნილი მინერალური სათბობის საკითხებისადმი.

სესიაზე მოსმენილი იქნება მოხსენებები: მ. გუჯეჯიანი — ნახშირების პერსპექტიული ბალანსი საქართველოში და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების ამოცანები მყარი სათბობის ბაზის გაფართოებისა და მისი გამოყენების საქმეში; მ. მეჩაბიშვილი — სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები საქართველოს ნახშირების დამრეცხების დარგში და შემდგომი ამოცანები; პ. ცისკარიშვილი — საქართველოს საწვავი ფიქლები და მათი გამოყენების გზები; ა. ხიდაშელი — საორთქლე ქვაბებში და სამრეწველო ღუმელებში ახალციხის მურა-ნახშირის წვის პრობლემა; გ. ქომეთიანი — ახალდაბასხევის მურა-ნახშირის საბადოს გამოყენების პრობლემა; ა. ლალიევი — საქართველოს გაზ-ნავთიანობის საკითხისათვის.

ჩვენს დედაქალაქში

✪ დღეს რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის შენობაში ფოთის სახელმწიფო თეატრი აჩვენებს თავის საუკეთესო დადგმას—ა. ოსტროვსკის პიესა „ქარიშხალს".

✪ მარის ქუჩაზე შენდება ახალი სპეციალური შენობა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჰიდროტექნიკური ლაბორატორიისათვის.

შენობის აგება მილიონ ნახევარი მანეთი დაჯდება.

✪ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა გამოფენა, მიძღვნილი სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 30 წლისთავისადმი.

✪ რამდენიმე დღის წინათ ზოოპარკში მიიღეს ახალი ცხოველები. მათ შორის აფრიკის ზებრა, ანტილოპა კონა, ანტილოპა გნუ, სირაქლემა, ხუჭუჭა თუთიყუშები, ფარშავანგები და სხვ.

22 ივლისს, საღამოს, 8 საათზე, პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის" კლუბში (ლენინის ქ. № 28) შესდგება **მშრომელთა დეპუტატების თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს III სესია.**

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ი. ნატროშვილი

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თბილისის სამკერვალო საფაბრიკო-საქარხნო სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1948-49 სასწავლო წელს.

სკოლაში მიიღებიან ქალები 16 წლის ასაკიდან, რომლებსაც აქვთ განათლება არანაკლებ 4 კლასისა.

სკოლა ამზადებს კერვის კვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებიც სკოლის დამთავრების შემდეგ იგზავნებიან მე-7 სამკერვალო ფაბრიკაში სამუშაოდ.

სწავლების ვადა ერთი წელიწადია. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. სწავლების პერიოდში მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას, მიეცემათ სამჯერადი უფასო კვება, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება, 2. ავტობიოგრაფია, 3. განათლების მოწმობა, 4. მეტრიკა, 5. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 6. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 7. ორი ფოტოსურათი, 8. პასპორტი (უნდა ჰქონდეთ ხელზე).

განცხადებები მიიღება 30 ივლისამდე.

მისამართი: თბილისი, ღრმაღელე, ხუთწლედის ქ. № 5. მე-7 სამკერვალო ფაბრიკის საქარხნო-საფაბრიკო სკოლა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს 1948-49 სასწავლო წლისათვის მიღებას. ინსტიტუტში შემსვლელებმა განცხადება უნდა შეიტანონ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე საჭირო საბუთების დართვით.

განცხადების მიღება დაიწყება 26 ივლისიდან.

ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები, აგრეთვე სამამულო ომის მონაწილენი, რომელთაც საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ ფრიადოსნის ატესტატით, ჩაირიცხებიან უგამოცდოდ.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 10-დან 15 აგვისტომდე.

1948 წლის 1 აგვისტოს გადის ვადა სახელმწიფო სესხთა ობლიგაციების და შემნახველი სალაროს სპეციალური ანაბრის მისაღები მოწმობების გადაცვლისა.

მოქალაქეებმა, აგრეთვე კოლმეურნეობათა და კოოპერაციულ ორგანიზაციათა გამგეობებმა, რომელთაც ჯერ კიდევ არ გადაუცვლიათ თავიანთი ობლიგაციები, უნდა დაიჩქარონ მათი გადაცვლა.

1948 წლის 1 აგვისტოს შემდეგ, საკონვერსიოდ განკუთვნილი სახელმწიფო სესხების ყველა გადაუცვლელი ობლიგაცია და შემნახველი სალაროს სპეციალური ანაბრის მისაღები მოწმობები ძალადაკარგულად ჩაითვლებიან და მათი გადაცვლის თაობაზე არავითარი პრეტენზია არ იქნება მიღებული.

დაწვრილებითს ცნობებს იძლევიან შემნახველი სალაროები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროების და საკრედიტო სამმართველო.

ბერიას რაიონის I საბავშვო ბაღის თანამშრომლები და მშობელთა კოლექტივი იუწყება მაკინე ფილიპეს ასულ უნაფქოშვილი-ჯავახიშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 20-VII, 6 ს. ათარბეგოვის, 42.

უახლოესი ამხანაგები: გალავანოვი, მენაბდე, მალანია, ერუშაძე, თავდიშვილი, ანთაძე, ბაბუნაშვილი, გოჩიაშვილი, კორხანტია, შალამბერიძე, ღარიბაშვილი იუწყებიან დარეჯან კვაშალის გარდაცვალებას.

ბორჯომის სატყეო მეურნეობის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ილია სიმონის-ძე აგლაძის გარდაცვალებას.

დედა ოლიმპიადა, მამიდა პელაგია, დები ქსენია, ლიდა, ნანუშა და ქეთო შვილებით, ძმა გრიგოლ შვილით ბიძინათი, რძალი ნინო იუწყებიან ექიმ ცუცა ანტონის ასულ ფურცელაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-VII მაიაკოვსკში (ბაღდადი).

დედა ნადია, და ანიკო, ნიკა, სერგო, მაჩაიძეები ოჯახებით იუწყებიან გივი სილოს-ძე მაჩაიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-VII სხვავაში (ამბროლაურის რ.).

მეუღლე პაშა, შვილები, დები, შვილიშვილები, დისწულები და სიძეები იუწყებიან კონსტანტინე ანტონის-ძე ბენდუქიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-VII ბაჯში (ამბროლაურის რ.).

თბილისის მეორე სამშობიარო სახლის თანამშრომლები იუწყებიან ექიმ გოგი დაშნიანის გარდაცვალებას.

ნინო, ნიკოლოზ მუჯირი, თამარ, შალვა აზმაიფარაშვილები, მარგო, პეტრე ალვაროვები შვილებით იუწყებიან დედის ევგენია ივანეს ასულ კვირიკაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21-VII, 8 ს. გამოსვენება 22-VII, 6 ს. ალავერდის მოედანი, 1.

მშობლები საშა და ალექსანდრე, ძმები ტარიელ და ავთანდილ კვაშალები იუწყებიან შვილის დარეჯანის გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-VII ბობოყვათში (მახარაძის რ.).

ა. ხუჯაძე, ი. ოქრუაშვილი, ი. რამიშვილი, ა. კოკილაშვილი და გ. სეხნიაშვილი ოჯახებით იუწყებიან ალ. კვაშალის შვილის დარეჯანის გარდაცვალებას.

ი. კეკელიძე, გ. მელაძე, ლ. მოლოკელიძე, შ. თედოზაშვილი, ი. ლორთქიფანიძე, შ. ფხაკაძე, გ. სიორიძე, დ. ჩიკაშუა, შ. ქლიბაძე ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ რაფიელ აგლაძის ოჯახს ილია სიმონის-ძე აგლაძის გარდაცვალების გამო.

ივანე, გიორგი ჯავახიშვილები და ვახტანგ ჯაოშვილი ოჯახებით იუწყებიან მაკინე ფილიპეს ასულ ჯავახიშვილის გარდაცვალებას.

მეუღლე ზინა ცაგარელი, მშობლები ანა, ვლადიმერ, დები ანგელინა, გოგუცა, ეთერ, ნათელა, ძმები შალვა, ვახტანგ ოჯახებით იუწყებიან ექიმ გიორგი ვლადიმერის-ძე დაშნიანის გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21-VII, 8 ს. გამოსვენება 22-VII, 6 ს. ყვირილის, 2.

ალაშიძე, გველესიანი, ჭაპაშვილი, გოგლიჩიძე, ხელიძე, გაბაშვილი, ქურიძე, ფაჩუაშვილი, თოხაძე, ქაშაკაშვილი, ჩაჩუა, პატარიძე, კიკვიძე, საყვარელიძე იუწყებიან ელენე როსტომის ასულ თვარაძის გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის — 3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000 უე 11686